

არაკომერციული გამომცემლობა საგა

ჯიბის ნიგნის სერია 4

მედია – კულტურა – საზოგადოება

რეზო კვესელავა, დაბადებული 1933 წლის 2 აგვისტოს, სოფელ ნახარებაოში, მარტვილის რაიონი – ქართველი ლიტერატორი, კინოდრამატურგი, პედაგოგი. დაამთავრა თბილისის უცხო ენებისა და ლიტერატურის ინსტიტუტის გერმანისტიკის ფაკულტეტი. მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა კინოსტუდია „ქართული ფილმის“ რედაქტორად. არის არაერთი ქართული ფილმის სცენარის ავტორი: „ვედრება“ (1967), „XIX საუკუნის ქართული ქრონიკა“ (1978), „გზა შინისაკენ“ (1983), „მონანიება“ (1984), „ჭერი“ (2004), „კავკასიური მისტერიები“ (2006) და სხვ. ენევა პედაგოგიურ (ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და მთარგმნელობით (ნ.ბერდიაევი, კ.ჰამსუნი, ვ.ნაბოკოვი, ლ.ფოიხტვანგერი და სხვ.) საქმიანობას.

# მოგონებები ქართველ კინემატოგრაფისტები

რეზო კვესელავა

თბილისი, 2010

ნახატი გარეკანზე: კოტე მიქაბერიძე  
დაკაბადონება: გიორგი ბაგრატიონი  
რედაქტორი და  
გამომცემელი: სოსო დუმბაძე



მეორე გამოცემა, 2010  
ISBN 978-9941-0-0441-4  
ყველა უფლება დაცულია

© არაკომერციული გამომცემლობა საგა, 2010  
[www.sa-ga.org](http://www.sa-ga.org)

## სარჩევი

ავტორის წინასიტყვაობა . . . . .	9
გამომცემლის წინასიტყვაობა . . . . .	11
სიცხადე და საიდუმლოება წერილები თენგიზ აბულაძეზე, ფილმ „ვედრებასა“ და მის შემქმნელებზე . . . . .	19
მწუხარე სახის რაინდი წერილი სპარტაკ ბალაშვილზე . . . . .	45
ქალა ლოგიკისა წერილი აკაკი ბაქრაძეზე . . . . .	53
ერისქაცი (ქართული კინოს რენესანსი) წერილი მიხეილ კვესელავაზე . . . . .	59
მიახლოება „მიახლოებასთან“ წერილი ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმ „მიახლოებაზე“ . . . . .	75
დონ-კიხოტის კვალდაკვალ წერილი სულიერ ჟღენტზე . . . . .	81

ვასილ ჩხაიძე ერთია	
წერილი ვასილ ჩხაიძეზე .....	93
კაცი, რომელსაც პერიაზე	
თავდასხმას აპრალებდნენ	
წერილი დორე ხინთიბიძეზე .....	101
ფუძემდებელი	
წერილი კოტე მიქაბერიძეზე .....	107
მან შეძლო ერთი პურით	
მრავალთა დაკურება!	
წერილი ალექსანდრე ჯალიაშვილზე .....	123
მუდამ კეთილმოსურნე და ირონიული	
წერილი დავით რონდელზე .....	137
ჰერცოგი	
წერილი არქადი ხინთიბიძეზე .....	151
იღეალისტი	
წერილი გოგი გელოვანზე .....	167
იაშა ტრიპოლსკი	
წერილი იაკობ ტრიპოლსკიზე .....	173
მოგონება მნარე დასასრულით	
წერილი კოტე დაუშვილზე .....	181

ჩვენი პორია ანდრონიქაშვილი წერილი ბორის ანდრონიქაშვილზე . . . . .	187
„მფარველი“ წერილი დოდო აბაშიძეზე . . . . .	195
ქართული კარნავალი წერილი რეზო ესაძეზე . . . . .	201
ის ქმნილა კარნავალს წერილი სერგო ფარაჯანოვზე . . . . .	209
რა დააშავეს ცხენმა და შიანშველამ? წერილი რეზო გაბრიაძეზე და მის სპექტაკლზე „სტალინგრადის ბრძოლა (რეკვიემი)“ . . . . .	221
ქართული ფილმის მეტეორი წერილი მიხეილ კობახიძეზე . . . . .	227
პოეზია უპირველეს ყოვლისა წერილები ოთარ იოსელიანზე და მის ფილმებზე . . . . .	235
შენიშვნები . . . . .	253
სახელთა საჭირებელი . . . . .	305



## ავტორის ნინასიფიცაობა

იმათი უმრავლესობა, ვისაც ამ პატარა წიგნში ვიგონებ, აღარ არის ჩვენ შორის. თუ რა კეთილი გავლენა მოუხდებიათ მათ ჩემზე, ამ მოგონები-დანაც კარგად ჩანს. მაშინდელი, ე.ი. ჩვენი ახ-ალგაზრდობის დროინდელი, ყველაფერი შესა-ნიშნავი იყო: შეხვედრები, კამათი, სუფრები, გატაცება პოეზიით, მუსიკით, წიგნით, რომან-ტიკული გაზვიადებებით, თავგანწირვის სურ-ვილით და ა.შ. დიახ, ყველაფერი მშვენიერი იყო. ურთიერთობები ჩნდებოდა თითქოსდა უმიზე-ზოდ, თავისთავად. მადლობელი ვარ იმათი, ვის-აც ვიგონებ. ისინი მიმსუბუქებდნენ ცხოვრების მძიმე წუთებს. ახლა კი მიმსუბუქებენ უმძიმეს წუთებს – წუთისოფელთან გამოთხოვებას.

მადლობელი ვარ სოსო დუმბაძის, გულისხ-მიერი ყმანვილი კაცის, რომელმაც ყურა-დღება მიაქცია პრესაში გამოქვეყნებულ ჩემს მოგონებებს და გადაწყვიტა მათი შეკრება და გამოცემა. აგრეთვე, მადლობას მოვახსე-ნებ გაზეთ „თბილისის“ ჟურნალისტს, ლიტე-

რატურისა და კულტურის განყოფილების გამგეს, ქალბატონ მარინა მაისურაძეს, ვისი ხელშეწყობითაც ქვეყნდებოდა ამ გამოცემაში თავმოყრილი წერილების ერთი ნაწილი.

ყველას ვუსურვებ სიკეთეს და სიხარულს. მართალია, სიხარული ცოტაა ამქვეყნად, მაგრამ ეს ცოტაც ბევრ ცუდს გადაწონის ხოლმე.

რეზო კვესელავა

## გამოცემლის ნინასიტყვაობა

„– რა უნდა წარმართავდეს დღეს ხელოვნებას, რა არის საყრდენი?

– მოგონებები, იმპულსს ვიღებთ მოგონებებიდან... ხომ გახსოვს [...]“.

ნაწყვეტი წინამდებარე გამოცემის წერილიდან: „პოეზია უპირველეს ყოვლისა“

ვიდრე გამოცემაში თავმოყრილ ტექსტებს შევეხებოდეთ, მინდა გავიხსენო ბატონ რეზო კვესელავასთან ურთიერთობის რამდენიმე ჩემთვის საინტერესო ეპიზოდი:

ბატონი რეზო, ისევე როგორც დღეს, უნივერსიტეტში ასწავლიდა სტუდენტებს და ჩვენი პედაგოგიც იყო. პირველი, რაც მახსენდება ხოლმე, როდესაც ბატონ რეზოს ვიგონებ – ეს არის მისი გულახდილი ღიმილიანი სახე. არ მეგონა, თუ ადამიანს შეეძლო ასე ბუნებრივად დაენგრია სტერეოტიპი: ეს ღიმილი ერთი „ჭუჭყიანი“ პატარა ბოძა ბიჭისკენაა მიმართული. პატარა

ბიჭი უნივერსიტეტის ნინ მწვანე გაზონზე არსებული მოგრეხილი სარწყავი მოწყობილობიდან იგრილებს თავს (თბილისის ზაფხულიანი დღეებია) და ბატონი რეზო თითქმის ჩაპლინური სიყვარულით აკვირდება და მხიარულად იზიარებს მის ბედ-ილბალს, თან მეუბნება „შეხედე ერთი, როგორ უყვარს“ და ილიმის. მაშინ, სტუდენტურ ასაკში, დამაფიქრა, თურმე „ბომჟი ბავშვებიც“, რომლებიც დღემდე ყოველთვის ძალიან დისკრიმინირებულები არიან, ბავშვები არიან და შეგიძლია გიყვარდეს, მეტიც, იზიარებდე მათ არსებობას. – ასეთი მომენტებით ბევრს ვსწავლობთ ჩვენი პედაგოგისაგან...

ბატონი რეზოს ლექციები იყო (არის) ტრადიციული თბილისური: გრძელდებოდა საღამომდე და ხანდახან ჭიქა კონიაკის ნრუპვაშიც გადაიზრდებოდა. (ამას არ უნდა ვწერდე: არის საშიშროება, რომ პოტენციური მკითხველი ფაკულტეტის დეკანიც აღმოჩნდეს და მაშინ რეფორმაგამოვლილი განათლება ხომ დაგმობს ამ „აქციებს“.) ეს ლექციები კი გვამდიდრებს და გვასწავლის ფხიზელი თვალით დავინახოთ მოვლენები; გვასწავლის ავიცდინოთ ავტომატიზირებული სამყაროს აღქმა – ეს კი ამ ეპოქაში, დამეთანხმებით, არც ისე ადვილი მისაღწევია.

შემდეგ, საუბრები გრძელდებოდა, უკვე ბა-  
ტონ რეზოსთან სახლში – მშვიდ გარემოში, სა-  
დაც ქალბატონი ასია (აგლაია), ბატონი რეზოს  
მეუღლე, ქმნის თბილ ატმოსფეროს. ეს სა-  
უბრები იყო (არის) მშვიდი, ზოგჯერ მკაცრი  
შეფასებებით, ძირითადად კი კეთილგანწყობი-  
ლი, და კვლავ ღიმილიანი სახით... უკვე მოგვი-  
ანებით, დავმეგობრდი დიმიტრისთანაც, ბატონი  
რეზოს ვაჟიმშვილთან, რომელიც, სხვათა შორის,  
ამ გამოცემაში გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ფო-  
ტოზეც არის აღბეჭდილი უკანა პლანზე. დღეს  
ბატონ რეზოს უკვე შვილიმშვილი, პატარა ალექ-  
სანდრე, ახალისებს...

„სულხან-საბას ლეონიძისეულ გამოკვლევას  
რომ ვკითხულობდი, საბასთან ერთად, ლეონი-  
ძესაც ვხედავდი“ – წერს ბატონი რეზო თავის  
მოგონებების ერთ-ერთ წერილში (რომელიც  
ამ კრებულში სამწუხაროდ არ შესულა). წი-  
ნამდებარე გამოცემაც მსგავსად მოქმედებს  
მკითხველზე: წერილის კითხვისას არა მარტო  
მოქმედ გმირებს, არამედ თავად ავტორსაც ხე-  
დავ. წერილების გმირები უბრალო თვალით არ  
არიან დანახულნი, ისინი – ერთი კინემატოგრა-  
ფისტის დაკვირვებების კრებულია.

ბატონი რეზო, მრავალწლიანმა მოღვაწეობამ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ არაერთი საინტერესო ფილმის თანაშემქმნელი გახადა. ამაზე ავტორი არაერთ წერილში წერს. ამ წერილების გმირები, ბევრნი, ჩვენთვის ნაცნობი ადამიანები არიან თავიანთი შემოქმედებით. მოხსენიებულნი არიან ისეთი კინემატოგრაფისტებიც, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლებად პოპულარულნი იყვნენ (არიან), პირნათლად ასრულებდნენ (ასრულებენ) თავიანთ საქმიანობას. ძალიან სასიხარულოა და საინტერესო ასეთი ქართველი კინემატოგრაფისტების ფართო მკითხველისთვის გაცნობა და გახსენება.

ავტორი იგონებს „პირველი თაობის“ ქართველ კინემატოგრაფისტებსაც, რომელთა უმრავლესობა უკვე, სამნუხაროდ, ცოცხალი აღარ არის. ავტორი წერს მათზე: „უმცროსი თაობა, ვინც პირველ თაობას მოესწრო, ხშირად იგონებს მათ. დასანანია, რომ ამგვარი ზეპირსიტყვიერება დროთა ვითარებაში დავიწყებას ეძლევა და იკარგება, ქართული კინოს ისტორიისთვის საჭიროა ამ მოგონებათა ფიქსაცია.“

იდეა ამ გამოცემისა, რომელიც ბატონი რეზოს გამოქვეყნებელი თუ გამოუქვეყნებელი საგაზეთო მემუარული ტიპის წერილების კრებულს

ნარმოადგენს, სპონტანურად დაიბადა. გაზე-  
თების ეგზემპლარების გადმოცემისას (დასა-  
მუშავებლად), ბატონმა რეზომ განმიმარტა –  
„ეს ყველაფერი ელეგიური და სევდიანია. წერი-  
ლების მოქმედ გმირთა უმეტესობა უკვე აღარ  
არის ჩვენ შორისო“.

ნინამდებარე კრებული ერთგვარი ქრონიკაა  
ქართველ კინემატოგრაფისტებზე. ნიგნში ნა-  
კლებად იპოვით ამა თუ იმ შემოქმედის დია-  
ლექტიკურ ანალიზს, ეს უფრო მემუარული  
ხასიათის კრებულია და თუ სადმე ავტორი ორა-  
ზოვნად ახასიათებს რომელიმე პიროვნებას, ეს  
ალბათ უფრო ცხოვრების ჩვეულებრივი, უბო-  
როფო, ორმხრივი აღქმაა.

ბატონ რეზოს, თავის მხრივ, ტექსტებში მოაქვს  
ორიგინალური ციტატები – სულიკო ულენტის  
პირადი ჩანაწერებიდან, ალექსანდრე ჯალი-  
აშვილის ავტობიოგრაფიული ტექსტიდან, კოტე  
მიქაბერიძის სცენარებიდან და წერილებიდან  
და სხვ., რითაც პირდაპირ შეჰვავს მკითხველი  
ამ გმირების სამყაროში.

გამოცემაზე მუშაობა თავისთავად საინტერესო  
პროცესი იყო: ბატონი რეზოს ხელნაწერების  
შერჩევა; ბატონი კოტე მიქაბერიძის პირადი

საქმიდან კალიგრაფიულად დახვეწილი ხელნანერის ხილვა; ბატონი არკადი ხინთიბიძის, სულ მცირე ოთხჯერ მაინც გადაწერილი ავტობიოგრაფიული მანუსკრიპტების გარჩევა; და სხვათა პირადი ხელნანერებისა და ფოტომასალების მოძიება... – დადებით გძნობებს იწვევდა.

გამოცემას ახლავს უნიკალური ფოტომასალა ავტორის პირადი არქივიდან, ავტორისეულივე კომენტარებით (მკითხველი მათ ამოიკითხავს ფოტოილუსტრაციების მეორე მხარეს, გამოყოფილი შრიფტით). გამოცემის გარეკანი ფორმდება კოტე მიქაბერიძის აგრეთვე უნიკალური ჩანახატებით. წიგნში იხილავთ, ასევე, კოტე მიქაბერიძის გახმაურებული ფილმის „ჩემი ბებია“ იმდროინდელ კინოპლაკატის ფერად ილუსტრაციას.

გამოცემას ერთვის 200-მდე ქართველი კინემატოგრაფისტის მოკლე ბიოგრაფიული მონაცემები, რომლებიც მომზადდა სპეციალურად ამ გამოცემისათვის. ისინი, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებისთვისაა გათვლილი და ამით გამოცემა ერთგვარ საგანმანათლებლო ფუნქციასაც იძენს.

გამოცემაში არსებული ბიოგრაფიული სქოლი-ობი ძირითადად ეყრდნობა „ეროვნული ფილ-მოგრაფიის ქართული კინოს მონაცემთა ბაზა-ში“ წარმოდგენილ მასალას, რომლის ელექტ-რონულ კოორდინატს სიამოვნებით ვუთითებთ: [www.geocinema.ge](http://www.geocinema.ge)

თუ ფლობთ დამატებით ინფორმაციას დასახე-ლებული პირების შესახებ ან შენიშნავთ გარ-კვეულ უზუსტობას, განსაკუთრებით თარი-ლების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვწეროთ: [info@sagahouse.ge](mailto:info@sagahouse.ge) ჩვენ გავითვალისწინებთ მათ ხელმეორე გამოცემისათვის.

ნაწილი მონაცემებისა და ფოტომასალებისა შე-გროვდა „საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის“ არქივში და „თეატრის, მუსიკის, კინო-სა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში“.

განეული დახმარებისათვის გვინდა მადლობა გადავუხადოთ ქალბატონ აზა დონდუას, საქა-რთველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის გან-ყოფილების გამგეს; ქალბატონ ლიანა ხოშტარი-ას „საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავში-რის“ კონსულტანტს; და ქალბატონ თამარ მაი-სურაძეს „თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეო-გრაფიის სახელმწიფო მუზეუმის“ ხელნაწერთა განყოფილების უფროსს.

პირველი გამოცემის მომზადება შესაძლებელი გახდა „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის“ ხელშეწყობით.

წინამდებარე გამოცემა საიუბილეო თარიღს ეძღვნება – ქართული კინოს 100 წლისთავს. გვჯერა, მკითხველი ბევრ სასიამოვნო და საინტერესო ნიუანსს ამოიკითხავს ქართველი კინემატოგრაფისტების, მათი შემოქმედების და, ზოგადად, ქართული კინოს შესახებ და დაინტერესდება აქ თავმოყრილი ამბებითა და მინიატურული ისტორიებით.

სოსო დუმბაძე

## **დონ-პიხონტის პვალდაკვალ**

**წერილი სულიკო შდენტზე**

სულიკო ულენტი (1925-2000, დაბ. სოფელ სამებაში) – კინოსცენარისტი. 1954 წელს დაამთავრა მოსკოვში კინემატოგრაფიის საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტის სასცენარო ფაკულტეტი. მუშაობდა პედაგოგად სკოლაში, ასწავლიდა ქართულ ლიტერატურას. აქვეყნებდა გაზეთებში სტატიებსა და მოთხრობებს. სცენარის ავტორია ფილმებისა: „ბურთი და მოედანი“ (1961), „ჯარისკაცის მამა“ (1964), „ლიმილის პიჭები“ (1969), „ნერგები“ (1972), „რაჭა, ჩემო სიყვარულო“ (1978), „ცხოვრება დონ-კიხოტისა და სანჩოსი“ (1989) და სხვ.

სულიკო ულენტის ბიოგრაფია ქმნიდა მისივე შემოქმედების სტილს: 17 წლის ყმაწვილი, რომლის წარმოსახვა არ გასცდენოდა ჯადოსნური ზღაპრების სამყაროს, ბედისწერამ პირდაპირ ომის ქარცეცხლში გადაისროლა. ასეთი ხოცვა-ულეტა, სიცოცხლის ასეთი ტოტალური განადგურება, მას, ალბათ, ზღაპრებშიც არ ამოეკითხა. მან მაშინ პირველად განიცადა სიკვდილის შიში – მის თვალწინ ბევრი დაიღუპა, ისინიც, ვინც მასთან ერთად სანგარში ისხდნენ და გადარჩენაზე ოცნებობდნენ.

სულიკო ულენტის ნაწერებს გამოჰყვა სითბო იმ მოკლული ჯარისკაცისა, რომლის გულის ჯიბეში მან დაღუპულის მისამართი იპოვნა. „აი, ახლაც, – იტყოდა ხოლმე სულიკო, – ჩემი ხელი გრძნობს მაშინდელ სითბოს, ის საცოდავი ჯერ კიდევ არ იყო გაცივებული“.

ომმა ზოგ ჯარისკაცს ცხოვრების რწმენა დააკარგვინა, ცინიზმით გამსჭვალა. სულიკომ კი შეიყვარა სიცოცხლე, შეიყვარა ადამიანი და მისი მასაზრდოებელი გარემო. მოდერნიზმისა თუ პოსტმოდერნიზმის სკეფსისი მას არ შეხებია. თუმცა მოდერნიზმის ნიმუშებს ლიტერატურასა, და განსაკუთრებით კინოში, ის ყოველთვის ინტერესით ეცნობოდა. სულიკო გვეუბნებოდა: „რომ ამბობენ: „მე ჩემი ვალი პირნათლად მოვინადეო!“, არავის მოუხდია თავისი ვალი პირნათ-

ლად. ეს ყალბი გამოთქმაა. ვალს რა მოიხდის? თუნდაც ის, რომ ღმერთმა გაგაჩინა და ერთი მზიანი ან წვიმიანი დღე გაჩუქა, ისეთი გადაუხდელი და ენით აუწერელი ვალია, სიცოცხლით სავსე ერთი დღე...“

ეს მარტივი და ნათელი აზრი ტანჯვით არის მოპოვებული, რომელ პესიმიზმს შეუძლია ამის შერყევა?

მეგონა, კარგად ვიცნობდი, მაგრამ სულიკოს კრებულს რომ გავეცანი, მისი პიროვნება ახალი კუთხით წარმომიდგა. საკვირველი არაფერია. ხშირად მინახავს სულიკო დაფიქრებული ქუჩაში, დერეფანში, სამხატვრო საბჭოს სხდომებზე. მაშინაც კი, როცა ჩვენ ვკამათობდით და ეგზალტირებულ ფრაზებს ვფანტავდით, სულიკო დუმილს არჩევდა. მის დუმილს უკვალოდ არ ჩაუვლია... მხატვრული ჩანაფიქრებით, რასაც ხანდახან თუ გაგვიმხელდა, ერთბაშად იპყრობდა ჩვენს ცნობისმოყვარეობას. მართლაც, შესანიშნავი მთხოვნელი გახლდათ. მაგრამ ანუხებდა, რომ ზოგიერთი მისი სიუჟეტი ისე ვერ განხორციელდა კინოში, როგორც მას სურდა. ჩუმად იყო. ბოლოს მაინც ვერ მოითმინა და თქვა: – იყო შემთხვევაც, როდესაც რეჟისორს ერთ სცენარს ვაძარებდი და შემდეგ სულ სხვას ვიღებდიო. დაინყო ფიქრი საკუთარი სცენარით ფილმის დადგმაზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერ მოხერხდა...

ერთ-ერთი დიდი გამოცდა ადამიანისა, სიკვდილით გამოცდაა. სულიკო განმარტოვდა და დაიწყო სიკვდილზე ფიქრი. ერთ-ერთი მისი უკანასკნელი ჩანაწერია: „ტკივილი ყოველთვის საკუთარია“. სულიკოს ამ უმოკლესმა ფრაზამ განსაკუთრებული ძალით გაიუღერა. გამახსენდა ოსკარ უაილდის<sup>1</sup> აღსარება, დაწერილი საპყრობილებან გამოსვლის შემდეგ. ის ამბობს, რომ ტანჯვის უკან მხოლოდ ტანჯვაა, ტანჯვა ყოველთვის საკუთარია და ის შემოქმედის დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის მაჩვენებელიაო.

მაშასადამე, ტკივილი ყოველთვის საკუთარია და ის მიმბაძველობას გამორიცხავს! ამ მოსაზრებამდე სულიკო უდენტი თავისი გამოცდილებით მივიდა. ლიტერატურულ ასოციაციებს ის არ გამოჰკიდებია! ბოლო დროს, როგორც ჩანაწერებიდან ჩანს, ის უფრო კითხვებს სვამდა. მას აწუხებდა ცნობიერების გაორება, ცნობიერების პარადოქსული მდგომარეობა: „მაგიდას სამნი უსხედან. დავაკვირდი და ტანში გამცრა, სამივე მე ვიყავი, მაშინვე გამიელვა აზრმა: მე თუ ისინი ვარ, მე, რომელიც მათ ვხედავ. ვინდა ვარ?“

ყველას მოგვიწევს წინასწარ განვიცადოთ ტკივილი არყოფნისა. სულიკო უდენტი ამ გრძნობას ჯენტლმენური თავდაჭერილობით გამოხატავს:

„ადამიანი ცოცხლობს იმედით, მაშინაც კი, როცა ყველა იმედი გადაწურულია, ასეთ დროს მისი ერთადერთი იმედი არის იდეა სულის უკვდავებისა“. ეს აზრიც მნარე შემეცნების ნაყოფია.

სულიკო უჩიოდა საკუთარ სიზარმაცეს. მაგრამ, როცა კრებულში თავმოყრილ მასალას ვეცნობით, განსაკუთრებით – „დონ-კიხოტის“ ეკრანიზაციისთვის განეუღ სამუშაოს, მხოლოდ მის უდიდეს გულმოდგინებასა და სიბეჯითები ვრნმუნდებით.

მისი „ფიქრები დონ-კიხოტ ლამანჩელზე“ ემოციური ანალიზის ნიმუშია. შესავალშივე იგრძნობა არაჩვეულებრივი გულწრფელობა ავტორისა: „ასეთ სცენარზე ვერც კი ვიოცნებებდი. ეს ჰგავს ლამაზ სიზმარს, როცა უეცრად გაღვიძებისა გეშინია... უსაზღვროდ ძნელი მეჩვენება ამ სცენარის შექმნა. სად უნდა ვეძებოთ გამოსავალი? ვის უნდა ვთხოვოთ შველა? რა თქმა უნდა, ისევ და ისევ მიგელ დე სერვანტეს საავედრას“.

და ავტორი იწყებს სერვანტესის ბიოგრაფიისა და შემოქმედების შესწავლას. კარგად იცის, რომ ლირებული სცენარი სხვების ნააზრევით ვერ შეიქმნება. საჭიროა შენი სულის ქურაში გადაადნო ყველა მოცემულობა. სულიკო ბევრ საინტერესო საკითხს განიხილავს, დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ლიტერატურისმ-

ცოდნე, ვინც სერვანტესზე იმუშავებს, სულიკოს დაკვირვებებს გვერდს ვერ აუვლის. სულიკო ისეთ კითხვებსაც უტრიალებს, რომლის პასუხიც არ აქვს, მაგრამ კითხვები ძაბავენ აზრის მსველელობას, ქმნიან დრამატურგიულ ფონს...

გვსურს აღვნიშნოთ ამ მშვენიერი, შინაარ-სიანი კრებულის შემდგენლის, სულიკო უღენტის ნიჭიერი ქალიშვილის, ოლიკოს ღვანლი. ბოლოთქმაც მასვე ეკუთვნის. დიდ მადლობას მოვახსენებთ, აგრეთვე, აჭარის გამომცემლობას და ბატონ რამაზ სურმანიძეს<sup>2</sup>, მათი ხელშეწყობის გარეშე ხომ ამ მშვენიერ კრებულს ვერ ვიხილავდით.

იმისთვის, რომ სულიკო უღენტის პიროვნება უფრო სრულფასოვნად ნარმოჩნდეს, სასურველად მივიჩნიეთ მისი ნააზრევის რამდენიმე ნიმუშის გამოქვეყნება ქრონოლოგიური თან-მიმდევრობით:

### 80-იანი წლები:

\*\*\*

ადამიანთა მოდგმის ისტორიას რომ გადა-ვხედოთ, თვალში გვეცემა ერთი თავისებურება – თავიდანვე ისტორია ნელა და აუჩქარებლად მიედინებოდა. თითქოს არსად მიეჩქარებოდა. იგი თანდათან უმატებდა სიჩქარეს, იძენდა ინერციას.

ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან კი ეს სისწრაფე თავბრუდამხვევი და შემაშფოთებელი გახდა. მიჰქონდა დროის მატარებელი ბუნდოვანი მომავლისკენ. დამუხრუჭება უკვე შეუძლებელია...

\*\*\*

არის კაცი, რომელიც გამუდმებით უცხოპლანეტელთა მოლოდინშია (ფუნიკულიორზე, დარაჯი).

\*\*\*

ერთი ნაცნობი მუშაობს საამქროში, რომელიც უშვებს ლენინის ბიუსტებს. საწყობი სავსეა ბიუსტებით. არავის მიაქვს!

\*\*\*

არ არსებობს არავითარი ობიექტური ჭეშმარიტება. იგი ისევე, როგორც სიმართლე, სუბიექტურია, ადამიანური. ადამიანის გარეშე არ არსებობს ჭეშმარიტება, რადგან მხოლოდ ადამიანია მისი შემცნობი და მაღიარებელი.

\*\*\*

„თუ გამგებელი თავისი თანამდებობიდან მდიდარი მიდის, ქურდს უწოდებენ, თუ ღარიბი – სულელს“ (დონ-კიხოტ ლამანჩელი, წიგნი II, თავი 55). რაოდენ აქტუალურია დღესაც.

\*\*\*

მხოლოდ ბალახი კი არ ასულდგმულებს პი-რუტყვს, მას ადამიანის სიყვარულიც სჭირდება.

\*\*\*

კომუნისტებს დიალექტიკოსებად მოაქვთ თავი, მაგრამ მათი მსოფლმხედველობა, ფაქ-ტობრივად, მეტაფიზიკურია. ისინი ქმნიან და ამკვიდრებენ მასობრივ ცნობიერებას ყველაზე რეტროგრადულ მეტაფიზიკურ ფორმებში. ამას ცნობიერების ტოტალური მითოლოგიზაციაც გვიდასტურებს.

90-იანი წლები:

\*\*\*

გონებას არ შესწევს უნარი, წარმოიდგინოს არარეალური. ამიტომ ყველაფერი, რასაც გონება წარმოიდგენს, მიღწევადია, ესე იგი, შესაძლებელია განხორციელება რეალურად.

\*\*\*

მარადისობა დროის ცნებას კი არ გამოხატავს, არამედ გამორიცხავს.

\*\*\*

„დრო“ გადაადგილებადი, მოძრავი მატერიის ის თვისებაა, რომელსაც ჩვენ სუბიექტურად მივაწერთ ხოლმე მას.

1991 წელი:

\*\*\*

შორსმჭვრეტელობა კარგია და აუცილებელიც, მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეგიშალოს დაინახო ის, რაც ჩვენ ცხვირწინ ძევს.

1992 წელი:

\*\*\*

სისხლითა და ცრემლით მორწყულ უდაბნოს გზებზე იყო წმინდა და ამაღლებული – აღთქმული ქვეყნის იდეა!

\*\*\*

„უდაბნოს თაობა“ – თაობა, რომელიც უნდა დაიღუპოს თავისუფლების გზაზე.

\*\*\*

ამდენი ნგრევა და ხანძარი ოქტომბრის რევოლუციასაც კი არ მოჰყოლია.

\*\*\*

მაკედონელი: ყველაფერი შეცვლილია ამ ქვეყანაზე, ადამიანები არ შეცვლილან მხოლოდ.

\*\*\*

ადამიანი ცოცხლობს სულის უკვდავების რწმენით...

P.S. ჩემს მეხსიერებაში სამუდამოდ ჩარჩა მისი უბრალოდ ნაამბობი ბევრი ეპიზოდი, დეტალი. ტყვიისგან განგმირული ჯარისკაცის სითბოს ის მთელი სიცოცხლე დაატარებდა. აქ-სოვდა თავის მოთხრობებში, კინოსცენარებში, ურთიერთობებში. სულიკომ კარგად დაიმახსოვრა ის ჯარისკაციც, რომელიც, მასთან ერთად, სანგარში ჩაფიქრებული იდგა და მუჭში მოქცეულ ნამიან მიწას დასცექროდა. აკი „ჯარისკაცის მამის“ სცენარში გამოიყენა კიდეც ეს დეტალი, მეტიც, როგორც არაერთხელ უთქვამს, ეს დეტალი გახდა ბიძგი „ჯარისკაცის მამის“ სცენარის დაწერისა. ამ ფილმმა მას საქვეყნო სახელი მოუტანა, მაგრამ სულიკო უღენტი დარჩა სულიკო უღენტად; ესე იგი – უბრალო, მოკრძალებულ, ახლობელ, საყვარელ ადამიანად.

კარგად მახსოვს „ჯარისკაცის მამის“ სცენარის ირგვლივ შექმნილი ვითარება. ვერ ვიტყვი, რომ სცენარს ყველა აღტაცებით შეხვდა. ზოგიერთს ძნელად განსახორციელებლად მიაჩნდა. საკმარისია ოდნავი გადახრა, რომ ფილმი პათეტიკური და სენტიმენტალური გამოვიდესო. მაგრამ ფილმის რეალიზმმა, ომის ეპიზოდების დამაჯერებლად ჩვენებამ, დიალოგებისა და რეპლიკების გულწრფელობამ, და, რაც მთავარია, ცოცხალმა იუმორმა სკეპტიკოსთა ვარაუდი არ გაამართლა. ცხადია, არსებობდა განსხვავებუ-

ლი აზრიც, მაგალითად, ბატონი სიმონ ჩიქვანისა<sup>3</sup>, რომელიც ფილმს უდავო გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდა. მან სცენარი განსაზღვრა, როგორც ხალხური ბალადის ჟანრის ნიმუში. სცენარის წარმოებაში ჩაშვების გზაზე დაბრკოლებად იქცა ის გარემოებაც, რომ ვიღაც ვიღაცეები არ თანხმდებოდნენ მამის როლში სერგო ზაქარიაძის<sup>4</sup>, როგორც ერთადერთი კანდიდატურის წარმოდგენას. რეჟისორი იძულებული გახდა ამ როლში სხვებიც გაესინჯა, მაგრამ ბატონი სერგო შეუდარებელი აღმოჩნდა. ამაზე დაწვრილებით ისაუბრა ფილმის რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ<sup>5</sup>. ეს უკვე ისტორიაა, მაგრამ თავის დროზე ყოველივემ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია. ამ, ასე ვთქვათ, კრიტიკულ ვითარებაშიც, მახსოვს სულიკო ჟღენტს წონასწორობა არ დაუკარგავს.

ამას წინათ, პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა<sup>6</sup> სულიკო ჟღენტს „ქართული კინოდრამატურგიის კლასი“ უწოდა. აუდიტორია ტაშით შეხვდა ამ განსაზღვრებას.

- 4 იხ. გვ. 236
- 5 ლეო ანთაძე (დაბ. 1932) – კინომსახიობი. 1951 წელს დაამთავრა თბილისის ვაჟთა საშუალო სკოლა, სწავლა და განაგრძო თბილისის შ.რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტზე (დაამთავრა 1955 წელს). სხვადასხვა ზღებში მოღვაწეობდა კ.მარჯანიშვილის (1955-67) და შ.რუსთაველის (1967-75) თეატრებში. მისი კინოსამსახიობო როლებია: კახაბერი („ყვავილი თოვლზე“, 1959), მგზავრი („წეიპურტები“, 1973), ჭეიშვილი („თეთრი ბაირალები“, 1990) და სხვ.
- 6 იაკობ ბერე (1575-1624) – თვითნასწავლი გერმანელი ფილოსოფოსი-მისტიკოსი.
- 7 იხ. გვ. 202

#### **დონ-კიხოტის კვალდაკვალ ნერილი სულიკო ქლენტზე**

ნინამდებარე ნერილი შედგენილია ორ ნერილზე დაყრდნობით, რომელებიც პირველად გამოქვეყნდა 19.05.2001, გაზეთში „თბილისი“, რუბრიკაში „კვალი ნათელი“, სათაურით: „სარკე“, რომელსაც მზის სხივი აპრენდება“ და 17.10.2002, გაზეთში „ახალი ეპოქა“, რუბრიკაში „პიროვნება და დრო“, სათაურით: „დონ-კიხოტის კვალდაკვალ“.

- 1 ოსკარ უალდი (1854-1900) – ინგლისელი მწერალი. ლექსების სტილით ახლოსაა ფრანგულ სიმბოლიზმთან. ავტორია ფილოსოფიური რომანისა „დორიან გრეის პორტრეტი“, აგრეთვე, ზღაპრებისა. მისი ავტობიოგრაფიული პოემა „რედინგის ციხის ბალადა“ (1898) თარგმნილია მრავალ ენაზე.
- 2 რამაზ სურმანიძე (დაბ. 1933) – მწერალი, პუბლიცისტი. ბათუმის სამედიცინო ეკოლოგიური ინსტიტუტის რექტორი.

- 3 სიმონ ჩიქოვანი (1903-1966, დაბ. სოფელ ნაესაკაოში, მარტვილის რაიონი) – პოეტი. 1922 წელს დაამთავრა ქუთაისის რეალური სასწავლებელი და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირველი ლექსი გამოაქვეყნა 1924 წელს. 1934 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრი, 1944-51 წლებში – მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, 1954-60 წლებში კი ურნალ „მნათობის“ რედაქტორი.
- 4 სერგო ზაქარიაძე (1909-1971, დაბ. ბაქოში) – კინოსა და თეატრის მსახიობი. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1926 წელს მუშაობა დაიწყო შ. რუსთაველის სახელობის თეატრში, 1928 წლიდან იყო კ. მარჯანიშვილის მიერ ქუთაისში დაარსებული თეატრის მსახიობი. 1956 წელს გადავიდა შ. რუსთაველის სახელობის თეატრში. 1934 წლიდან მოღვაწეობდა კინოში. 1955-1960 წლებში თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ასწავლიდა სასცენო მეტყველებას. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, შორმის ნითელი დროშის და საპატიო ნიშნის ორდენებით. მისი კინოსამსახიობო როლებია: შადიმან ბარათაშვილი („გიორგი საავაძე“, 1943), ყარაჩოლელი („ქეთო და კოტე“, 1948), გიორგი მახარაშვილი („ჯარისკაცის მამა“, 1964), ლევან ცინცაძე, („არ იდარდო!“, 1968) და სხვ.
- 5 იბ. გვ. 260 შენ. 45
- 6 ფრიდონ ხალვაში (დაბ. 1925) – პოეტი. საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი. არის არაერთი პიესის ავტორი.

## ვასილ ჩხაიძე ერთია ნერილი ვასილ ჩხაიძეზე

წინამდებარე წერილი პირველად გამოქვეყნდა 9.02.1999,  
გაზეთში „თბილისი“, რუბრიკაში „პანთეონი“, სათაურით:  
„ვასილ ჩხაიძე ერთია“.





## საგას სხვა გამოცემები:

ჰანს ბელერი – კინომოწესტაზის ასაექტები

დასავლეთში ფართოდ გავრცელებული, შესავალი ხასიათის მქონე კინოსამონტაჟო სახელმძღვანელო ტექსტი, სადაც გაანალიზებულია აქტუალური სამონტაჟო მოდელები, ცნებები და რეჟისორთა სპეციფიკური სტილები: ეიზენშტეინი, ბუნუელი, ჰიჩკოკი, გოდარი, ტარკოვსკი, კუბრიკი, ჯარმუში და სხვა.



გამოცემას ახლავს კინო-სამონტაჟო ცნებების განმარტებითი ლექსიკონი; კადრის სიდიდეთა მაჩვენებელი და 180 გრადუსის პრინციპის ამსახველი სქემები




საგას სხვა გამოცემები

## ვალტერ ბენიამინი – ხელოვნების ნიმუში

მკითხველს პირველად ეძღვა საშუალება გაეცნოს ქართულ ენაზე ცნობილი ფილოსოფოსისა და კულტურის მკვლევრის, ვალტერ ბენიამინის (1892-1940), ორ ნაშრომს: „ხელოვნების ნიმუში მისი ტექნიკური რეპროდუცირებადობის ეპოქაში“ (1935-36) და „ისტორიის ცნების შესახებ“ (1940).

პირველი წერილი ხელოვნების ნიმუშის „აურის“ დაკარგვის ახსნას გვთავაზობს. მან განსაკუთრებული



აქტუალურობა შეიძინა 60-იან წლებში, როცა იქცა მოწოდებად, ხელოვნება გამოეყენებინათ სოციალურ-პოლიტიკური ემანსიპაციის მიზნით. თეზისები „ისტორიის ცნების შესახებ“აჯამებს ავტორის თანამე-დროვე პერიოდის ბჭობას ისტორიული მატერიალიზმის დანიშნულებაზე.

ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე პირთა გერმანული ასოციაცია – რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“?

„მეგზური“ განკუთვნილია ფსიქიატრიასთან გამოცდილების მქონე ადამიანებისა და მათი ახლობლებისათვის, რომლებიც კრიზისის დროს და მის შემდეგ მხარში უდგანან ამ პიროვნებებს. აქ მოცემული რჩევები საშუალებას გვაძლევს ინდივიდუალურად და შინაურულად მოვევიდოთ ამ მდგომარეობას; გვეხმარება, შეძლებისდაგვარად ფსიქოტროპული წამლების გარეშე, ორგანიზმისადმი ზიანის მიყენების გვერდის ავლით, მოვლენების მართვასა და მყუდროებისა და სტაბილურობის მოპოვებაში.

რჩევები და ხერხები – როგორ ვმართოთ „შეშლილ-ობა“?




ტექსტს ახლავს ფსიქიატრ თემურ იოსებაძის ბოლოსიტყვაობა და დამხმარე იორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია.



## აკა მორჩილაძე – პაგდატა ინ ჯორჯია

ცალკე გამოცემის სახით პირველად იბეჭდება თანამე-დროვე ქართველი მწერლის, აკა მორჩილაძის, ესეის-ტური ტექსტები: „კაგდატა ინ ჯორჯია“ (2008) და „პი-რადი ენციკლოპედია“ (2007).



## მალე საგასაგან:

- საბჭოთა ავანგარდისტის, კინოდოკუმენტალისტის და დოკუმენტური კინოს თეორეტიკოსის **ძიგა ვერტოვის** ტექსტების კრებული: ადამიანი პინოა-პარატიტი (მანიფესტი, სტატიები, სასცენარო ვარიანტები); დევი დუმბაძის შესავალ წერილთან ერთად: „არასაალბათო თვალის პოეზია – „კინოგლაზის“ კონცეფცია ძიგა ვერტოვის ფილმში „ადამიანი კინოაპარატით“.

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში  
დამატებითი ინფორმაცია: [www.sa-ga.org](http://www.sa-ga.org)